ვაკანსიის N 42384

თანამდებობის დასახელება	სამინისტროს აპარატის (დეპარტამენტი) საერთაშორისო ურთიერთობებისა და აპარატის საქმისწ
დამსაქმებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
კატეგორია	ადმინისტრაცია
განცხადების წარდგენის ბოლო ვადა	22.04.2017
თანამდებობრივი სარგო	1600 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	თბილისი
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი

ფუნქციები

- მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების ადმინისტრაციული საქმიანობის უზრუნველყოფა;
- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან და სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან კოორდინაციით მინისტრის საჯარო გამოსვლებისა და ანგარიშების მომზადების უზრუნველყოფა;
- საზღვარგარეთის ქვეყნებში მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების ოფიციალური და სამუშაო ვიზიტების ორგანიზება;
- სამინისტროს მოწვევით უცხო ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირთა ოფიციალური დელეგაციების ვიზიტის მომზადების კოორდინაცია და შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან შეხვედრების ორგანიზება;
- სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა საერთაშორისო მივლინებებისათვის საჭირო პროცედურების უზრუნველყოფა;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული კვოტის ფარგლებში სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი პასპორტებით უზრუნველყოფის ორგანიზება და სამსახურებრივი პასპორტების მქონე სამინისტროს თანამშრომელთა სავიზო მომსახურების ორგანიზება;
- პროტოკოლით გათვალისწინებული საკითხების უზრუნველყოფა;
- სამინისტროს მიერ დაგეგმილი საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება;
- სამინისტროში დაგეგმილი აუდიო-ვიდეო კონფერენციების ორგანიზება და შესაბამისი სამსახურების მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან და მის დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა;
- სამინისტროს ურთიერთობის კოორდინაცია დონორებთან, დიპლომატიურ კორპუსთან, საკონსულოებთან, საქართველოს მისიებთან საზღვარგარეთ, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მათ სამდივნოებთან, საერთაშორისო ინსტიტუტებთან, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო ორგანიზაციებთან და საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ კორპუსთან;
- სამინისტროს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და დონორ ორგანიზაციებთან დასადები ხელშეკრულებების (შეთანხმებების, მემორანდუმების) მომზადების პროცესის კოორდინაცია, ხელმოწერის პროცედურის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მათი აღრიცხვა;
- ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაცია;
- სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხორციელების ყოველწლიური ერთიანი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება და პერიოდული (6-თვიანი და წლიური) ანგარიშების მომზადების კოორდინაცია და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის წარდგენა.

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	უმაღლესი განათლება
სამუშაო გამოცდილება	5 წელი
სასურველი ასაკი -დან	21

საკონკურსო თემატიკა

- საქართველოს კონსტიტუცია;
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის □249 დადგენილება;
- საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების თაობაზე ინფორმაციის ფლობა.

ენები

ენა	წერითი უნარები	მეტყველება
რუსული	ძალიან კარგი	ძალიან კარგი
ინგლისური	ძალიან კარგი	ძალიან კარგი

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის მისამართი	ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი □144
საკონტაქტო ტელეფონები	2 510041 (06-14)
საკონტაქტო პირი	ნათელა ზურაბიშვილი

დამატებით მოთხოვნები

- განათლება - საერთაშორისო ურთიერთობების ან სოციალური მეცნიერების განხრით, სასურველია მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- გამოცდილება - არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილება, უპირატესობა ენიჭება საერთაშორისო უწყებებთან/ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილებას;
- ინგლისური და რუსული ენების მაღალ დონეზე ცოდნა;
- ძირითადი საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS Office Word, Excel, Power Point, Outlook) და Internet-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

დამატებითი ინფორმაცია

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე ჩასატარებელი კონკურსის პროგრამა, პირობები და ჩატარების წესი:

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 21 წლის ასაკს, ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.
2. კონკურსში მონაწილეობისათვის კანდიდატმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია და შეავსოს განაცხადი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge).
3. კანდიდატმა აუცილებლად უნდა ატვირთოს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge), ველში - „ჩემი რეზიუმე“:
ა) „განათლება“ - უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ) „რეკომენდატორები“ - ამ თანამდებობაზე კანდიდატის შესაბამისობის შესახებ, სარეკომენდაციო წერილი, მიმდინარე ან ერთ-ერთი წინა სამსახურიდან ან ყოფილი ხელმძღვანელიდან, რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით;
გ) „სამოტივაციო წერილი“ - ამ თანამდებობაზე კანდიდატის შესაბამისობის შესახებ სამოტივაციო წერილი;
დ) „სამუშაო გამოცდილება“ - შრომითი საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
4. კონკურსში მონაწილეობისათვის კანდიდატი უფლებამოსილია წარადგინოს განაცხადი არაუმეტეს ხუთ ვაკანტურ თანამდებობაზე.
5. კანდიდატი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება ამ ფორმით დადგენილ მოთხოვნებს (მათ შორის, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს), ან სრულყოფილად არ წარმოადგენს სავალდებულო ასატვირთ დოკუმენტაციას/ინფორმაციას, ასევე, ხუთზე მეტ ვაკანტურ თანამდებობაზე განაცხადის შემოტანის შემთხვევაში, ვერ გადავა კონკურსის შემდეგ ეტაპზე.
6. კონკურსის შემდეგ ეტაპზე, კანდიდატი გადავა განცხადებების გადარჩევის ეტაპზე კონკურსის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.
7. გასაუბრების ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ, კანდიდატებს ეცნობებათ დამატებით, განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
8. საპატიო მიზეზის გარეშე კანდიდატის გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან დაგვიანებით გამოცხადება წარმოადგენს კანდიდატის შესაბამის ეტაპზე დაუშვებლობის საფუძველს.
9. ყოველ კონკურსანტს მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება ელექტრონული შეტყობინების საშუალებით ეცნობება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა.
10. გასაუბრებისას ფასდება კანდიდატის ცოდნის, პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობა დასაკავებელი თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან.
11. გასაუბრების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდება მისი აუდიო ან ვიდეო ჩაწერა (განცხადების გამოგზავნა ჩაითვლება, რომ კანდიდატი ეთანხმება გასაუბრების პროცესის აუდიო ან ვიდეო

ჩანაწერის განხორციელებას).
12. გასაუბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ შემდეგ ეტაპზე გადასული კანდიდატები, ასევე დაესწრებიან უფლებამოსილი პირები.
13. კანდიდატს თან უნდა ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
14. კონკურსანტს საპრეტენზიო კომისიისადმი (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მისამართი: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) მიმართვის უფლება აქვს კონკურსის შედეგების (მის მიმართ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება) გაგზავნიდან (ელექტრონული ფოსტით გაგზავნა) არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა.

სამინისტროს აპარატის (დეპარტამენტი) საერთაშორისო ურთიერთობებისა და აპარატის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი: (კოდი 102)

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

- კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობის საფუძველზე. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა. კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება განცხადების მიღების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
გასაუბრება

სავალდებულო ბლოკები

☑პირადი ინფორმაცია

☑ოჯახის წევრები

☑სამუშაო გამოცდილება
☑ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

☑განათლება კვალიფიკაცია
☑ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

☑ენები

☑კომპიუტერული პროგრამები, დაპროგრამების ენები, ოპერაციული სისტემები

☑რეკომენდატორები
☑ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

☑სამოტივაციო წერილი